

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება–ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია.....	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	6
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება	12
6. ძირითადი საშუალებები	13
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები	14
8. გაცემული სესხები	14
9. საკუთარი კაპიტალი	14
10. ნასესხები სახსრები.....	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
12. ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	16
13. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
14. არარეგულარული მუხლები, წმინდა	17
15. აქციებზე დაფუძნებული გადახდა.....	17
16. ფინანსური ინსტრუმენტები	18
17. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიის“ აქციონერს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტისთვის და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.



სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2024 წლის 4 მარტი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	47,315	40,801
აქტივის გამოყენების უფლება		335	342
გაცემული სესხები	8	6,188	–
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	1,065	4,351
სულ გრძელვადიანი აქტივები		54,903	45,494
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	8	–	3,533
სხვა მოკლევადიანი აქტივები		21	257
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	1,881	8,802
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,902	12,592
სულ აქტივები		56,805	58,086
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	47,817	45,196
დაგროვილი დეფიციტი		(4,293)	(1,576)
სხვა რეზერვები		8,705	7,754
სულ საკუთარი კაპიტალი		52,229	51,374
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	517	486
საიჯარო ვალდებულებები		282	228
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		799	714
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	15	68
საიჯარო ვალდებულებები		53	43
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		216	391
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,493	5,496
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,777	5,998
სულ ვალდებულებები		4,576	6,712
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		56,805	58,086

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 4 მარტს:

ზურაბ გორდეზიანი
გენერალური დირექტორი

ნანა მშვიდლობაძე
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***(თანხები მოცემულია ათას ლარში)*

	შენიშვნა	2023	2022
სხვა შემოსავალი		–	112
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	12	(417)	(424)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(153)	(209)
EBITDA		(570)	(521)
ცვეთა და ამორტიზაცია		(491)	(490)
ფინანსური შემოსავალი		443	294
ფინანსური დანახარჯები		(120)	(493)
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(141)	379
არარეგულარული მუხლები, წმინდა	14	(160)	2,470
ავანსად გაწეული საოპერაციო დანახარჯების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	7	(1,678)	–
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(2,717)	1,639
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის (ზარალი)/მოგება		(2,717)	1,639
სხვა სრული ზარალი			
სხვა სრული ზარალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში		(974)	(5,351)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(974)	(5,351)
სხვა წმინდა სრული ზარალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში		(974)	(5,351)
წლის სხვა სრული ზარალი		(974)	(5,351)
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი		(3,691)	(3,712)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დისკონტი აქციაზე	დაგროვილი დეფიციტი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	41,796	(2,457)	(3,215)	12,106	48,230
წლის მოგება	–	–	1,639	–	1,639
უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი რეზერვი	–	–	–	(5,351)	(5,351)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	–	–	1,639	(5,351)	(3,712)
სააქციო კაპიტალის ზრდა (მე–9 შენიშვნა)	9,633	2,457	–	–	12,090
სააქციო კაპიტალის კლება (მე–9 შენიშვნა)	(6,233)	–	–	–	(6,233)
აქციებზე დაფუძნებული გადახდების პროგრამა (მე–15 შენიშვნა)	–	–	–	999	999
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	45,196	–	(1,576)	7,754	51,374
წლის ზარალი	–	–	(2,717)	–	(2,717)
უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი რეზერვი	–	–	–	(974)	(974)
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი	–	–	(2,717)	(974)	(3,691)
სააქციო კაპიტალის ზრდა (მე–9 შენიშვნა)	2,621	–	–	–	2,621
აქციებზე დაფუძნებული გადახდების პროგრამა (მე–15 შენიშვნა)	–	–	–	1,925	1,925
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47,817	–	(4,293)	8,705	52,229

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		–	15
მიმწოდებლებისთვის განხორციელებული გადახდები		(571)	(606)
თანამშრომლებისთვის განხორციელებული გადახდები		(440)	(375)
მიღებული პროცენტი		43	18
გადახდილი გადასახადები		(346)	(279)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ბონუსის გადახდამდე		(1,314)	(1,227)
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ბონუსის გადახდა		(1,735)	(1,735)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები შრომითი საქმიანობის შეწყვეტის ბონუსის გადახდის შემდეგ		(3,049)	(2,962)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების შეძენა		(4,001)	(3,419)
შემოსულობა ფინანსური აქტივების გამოსყიდვიდან	14	–	7,292
კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებით ანაზღაურებული დღე		–	166
გაცემული სესხები		(2,226)	(1,395)
შემოსულობა შვილობილი საწარმოების გაყიდვიდან, გასული ფულადი სახსრების გამოკლებით	14	–	1,487
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(6,227)	4,131
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	10	–	10,514
ნასესხები სახსრების დაფარვა	10	(33)	(13)
გადახდილი პროცენტი	10	(40)	(40)
საიჯარო გადახდები		–	(20)
სააქციო კაპიტალის ზრდა	9	2,621	398
სააქციო კაპიტალის შემცირება	9	–	(6,233)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		2,548	4,606
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(193)	(559)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(6,921)	5,216
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		8,802	3,586
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	1,881	8,802

არსებითი არაფულადი ოპერაციები განხილულია მე-9 და მე-10 შენიშვნებში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GRPC“) დაფუძნდა 2015 წელს, როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია ჰოლდინგური მშობელი საწარმოა და ახდენს შემდეგი შვილობილი საწარმოების კონსოლიდირებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

სახელწოდება	საქმიანობის ქვეყანა	წილობრივი მონაწილეობა (%)	
		2023	2022
სს „ზოტი ჰიდრო“	საქართველო	100%	100%
სს „კავკასიის ქარის კომპანია“	საქართველო	100%	100%
შპს „კავკასიის მზის კომპანია“	საქართველო	100%	100%
შპს „საქართველოს გეოთერმული კომპანია“	საქართველო	100%	100%
შპს „ჰიდრო ესი“	საქართველო	100%	100%
შპს „ქართლის მზის ელექტროსადგური“	საქართველო	100%	n/a

კომპანია, თავის შვილობილ საწარმოებთან ერთად, შეადგენს კომპანიების ჯგუფს (შემდგომში „ჯგუფი“).

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების მიმართულებით და ფლობს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ რამდენიმე პროექტს. 46 მვტ–იანი ზოტის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოს დასავლეთ ნაწილში 2019 წლის მესამე კვარტალში დაიწყო, მაგრამ შეჩერდა კოვიდ–19–ის პანდემიის გამო. დღეისათვის ჯგუფი მუშაობს საპროექტო სამუშაოების განახლებაზე. კავკასიის ქარის კომპანიის ქარის ელექტროსადგურის განვითარება 2016 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო. ჯგუფი გეგმავს განვითარების ეტაპზე მყოფი პროექტების დაწყებას საშუალოვადიან პერიოდში.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%–ს ფლობს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“ ან „GRPH“), რომელიც სს „საქართველოს კაპიტალის“ („GCAP“) 100%–იან მფლობელობაშია. ამ უკანასკნელის საბოლოო მშობელი საწარმოა საჯარო სააქციო საზოგადოება „Georgia Capital“ („საბოლოო მშობელი საწარმო“).

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10.

2. საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი–საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,3%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ–ის ზრდამ 2023 წელს 7% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

2. საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა ექნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდნის შესაძლებლობის შედეგად. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს ჯგუფის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. ჯგუფზე ომის ეფექტების საუკეთესო მიმდინარე შეფასება ასახულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებს საფუძველზე, გარდა კონკრეტული ფინანსური აქტივებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება მოგებაში ან ზარალში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ საფუძველზე, რომ ის განაგრძობს მუშაობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ჯგუფის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარის შეფასებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მშობელი საწარმოებისგან განვითარების ეტაპზე მყოფ პროექტებში ჯგუფის საოპერაციო დანახარჯების და კაპიტალში ინვესტიციების მოსალოდნელი დაფინანსება.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

ჯგუფი არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, გარდა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახული კონკრეტული სესხებისა, რომლებიც გაიცემა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღებისგან განსხვავებული მიზეზით. ჯგუფის ფინანსური აქტივები შესულია მოკლევადიან აქტივებში, გარდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღიდან 12 თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე აქტივებისა. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამომავლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ისევე, როგორც შესყიდვის ფასი, დაუმთავრებელ მშენებლობაში შემავალი ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაც მოიცავს ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს და მოსალოდნელ დღევანდელ ღირებულებას.

პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებას, დასაქმებულთა გასამრჯელოების გადანაწილების ჩათვლით. ამასთან, პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში განხორციელებულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორიც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯების, ტექნიკურ და გარემოსდაცვით ანალიზს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯების ნაწილს.

საწყისი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შეთხვევაში.

ძირითადი საშუალებების მუხლის გასვლის შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგება-ზარალის შემოსავლის/სხვა ხარჯების ნაწილში.

ცვეთა

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ელექტროსადგურების შემთხვევაში, ფუნქციონირების დაწყების თარიღი ნიშნავს გამოცდის პერიოდის დასრულებას და ენერგიის გამომუშავების ლიცენზიის მიღებას.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
ინფრასტრუქტურული აქტივები	10–60
მიწები და ჭები	45
ავეჯი და მოწყობილობები	3–5
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით აისახება დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივები უპირატესად მოიცავს ლიცენზიებს და ნებართვებს, რომლებიც საჭიროა ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად და მათზე ირიცხება ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში (36 თვე), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდება მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მათ გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებში გაცხადდება როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“) წარმოადგენს ვალდებულებას საგადასახადო უწყებების მიმართ, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული დღგ აისახება ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან, მაშინ, როდესაც საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დღგ აისახება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, რომელიც შედგება მოთხოვნამდე ანაზღაურებისგან ბანკებში თავდაპირველი სამთვლიანი ან ნაკლები ვადით.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და მიღებულ ფაქტობრივ შენატანს შორის აღიარდება აქციაზე დისკონტირებაში/საემისიო შემოსავალში კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს, უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები სახსრებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების, ფინანსური ექსპერტიზის ხარჯების და სესხების მიღებასთან დაკავშირებული სადაზღვევო ხარჯების კორექტირებად.

საოპერაციო დანახარჯები აღირიცხება როგორც ავანსები, დანახარჯების გაწევისას. ამ დანახარჯების გაწევა ხდება სესხის გამცემის შერჩევის/დამტკიცების პროცესში. დანახარჯები წარმოადგენს „სესხის გამცემის სავაჭრო დანახარჯებს“ და ისინი შესულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში, როდესაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება ფინანსირებასთან დაკავშირებით. ავანსად გაწეული საოპერაციო დანახარჯები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მათთან დაკავშირებული ნასესხები სახსრების ოპერაციების წარმოშობა.

აქტივის შეძენასთან ან მშენებლობასთან პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენებას ან გაყიდვას მნიშვნელოვანი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება შესაბამისი აქტივების თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯები ხარჯში გატარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშობა.

კაპიტალიზაციისთვის განკუთვნილი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების თანხა განისაზღვრება, როგორც შესაბამისი ქონების განვითარების ეტაპის განმავლობაში სესხის აღებისას ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები.

EBITDA

ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში. EBITDA არ განისაზღვრება ფასს სტანდარტებში და მას ჯგუფი განსაზღვრავს, როგორც შემოსავალი პროცენტის, გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე, წმინდა საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალის ან შემოსულობის გაწევამდე და წმინდა არარეგულარული მუხლების განხორციელებამდე

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არარეგულარული მუხლები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნეს ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომლებიც გონივრულ ფარგლებში არ არის მოსალოდნელი მომავალში და ამგვარად ისინი არ უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალი შედეგების პროგნოზებში.

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ჯგუფის შვილობილი საწარმოების და კომპანიის სამუშაო ვალუტაა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარში, შესაბამისად, ჯგუფის ამონაგები აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ ჯგუფის სამშენებლო დანახარჯების უმრავლესობა გამოხატულია ან შესაძლოა გამოხატული იყოს აშშ დოლარში;
- ▶ დაგეგმილია, რომ ჯგუფის დაფინანსების სტრუქტურა აშშ დოლარში იყოს გამოხატული.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო სხვაობით განპირობებულ ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარის ღირებულება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.6894 ლარი და 2.7020 ლარი, შესაბამისად.

საკანონმდებლო მოთხოვნების თანახმად, ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა ლარი.

დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ბიულეტენი, ფულადი პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ. დასაქმებულთა გასამრჯელოები, რომლებიც არ წარმოადგენს აქტივის დანახარჯის ნაწილად აღიარების საგანს (როგორც არის ძირითადი საშუალებები) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

ჯგუფის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, ჯგუფის საბოლოო მშობელი საწარმოს – „GCAP“-ის წილობრივი ინსტრუმენტების სახით. წილობრივ უფლებებს „GCAP“ ანიჭებს. ანაზღაურება, რომლის დაფარვის ვალდებულება ჯგუფს არ აქვს, აღირიცხება, როგორც აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები (მაშინაც კი, თუ ჯგუფმა შეიძლება წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯი აუნაზღაუროს გადამხდელ სუბიექტს, რომლის აღიარებაც ხდება როგორც დაქვითვა სხვა მარაგებიდან საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღში).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა (გაგრძელება)

აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები

დასაქმებულ პირთა აქციებზე დაფუძნებული ოპერაციების დანახარჯები სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღში, საფონდო ბირჟაზე ხელმისაწვდომი საბაზრო კოტირებების გამოყენებით.

აქციებზე დაფუძნებული ოპერაციების დანახარჯების აღიარება, დამატებით შეტანილ კაპიტალში შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ყოველი საანგარიშგებო თარიღით აღიარებული აქციებზე დაფუძნებულ ოპერაციებში განსაზღვრული გარიგებების დაგროვილი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ჯგუფის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. ჯგუფის თანამშრომლებისთვის გაცემული აქციებისთვის მშობელ საწარმოსთან ანგარიშსწორება აღირიცხება როგორც კლება სხვა მარაგებში.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს:

- ▶ ფასს (IFRS) 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ▶ სააღრიცხვო შეფასების განმარტება – ბასს (IAS) 8-ის ცვლილება;
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ;
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ბასს (IAS) 12-ის ცვლილება;
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები – ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.

ფასს სტანდარტის „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ ცვლილების თანახმად, ბასს (IAS) 1-ის და ფასს პრაქტიკის განცხადება 2-ის ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, ჯგუფმა შეცვალა თავის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა. შეცვლილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ იყენებს ჯგუფი ფასს სტანდარტების მოთხოვნებს თავის საკუთარ საქმეებთან მიმართებით და ის მოიცავს მრავალ საკითხს, რომლებშიც ჯგუფი ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, ერთეულებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან განსხვავებას იწვევს შეფასებას ექვემდებარება და გამორიცხავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში)
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში)

ამ მომენტისთვის ჯგუფი აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადასინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

ინფრასტრუქტურული და დაუმთავრებელი აქტივების შეფასება

ინფრასტრუქტურული და დაუმთავრებელი აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. ჯგუფი ახდენს მშენებლობის პროცესთან პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯების კაპიტალიზაციას. ხარჯების თავდაპირველი კაპიტალიზაცია მშენებლობის პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ შეფასებას ეფუძნება. იჯარები, სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადები, ნასესხები სახსრები, დასაქმებულთა გასამრჯელოები (აქციებზე დაფუძნებული გადახდების ჩათვლით) და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადი ისეთი აქტივის მშენებლობასთან, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის მომზადებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი. ფიზიკური დაზიანების ან აქტივების განადგურების შედეგად მიღებული ნებისმიერი გაუფასურების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს ამგვარი დაზიანების მასშტაბს თითოეული ინდივიდუალური ერთეულისთვის და ჩამოწერს ძირითადი საშუალებების ისეთ ნაწილს, რომელიც ნაწილობრივად დაზიანებული ერთეულებისთვის მოიცავს გაუფასურების ხარჯის განსაზღვრასთან დაკავშირებული შეფასებების გამოყენებას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა გაანალიზა ძირითადი საშუალებების გაუფასურების შიდა და გარე ინდიკატორები ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის (განსაზღვრული კონკრეტული ჰიდრო და ქარის ელექტროსადგურების პროექტების დონეზე), რომლებიც ორიენტირებულია ფიზიკური დაზიანების, საბაზრო ფასის ცვლილების, ტექნოლოგიური მოძვლებების და შიდა განაკვეთების ზრდის არსებობაზე. ჯგუფმა ასევე შეაფასა ინფორმაციის შიდა წყაროები, როგორიც არის პროექტის ფინანსური მდგრადობის შიდა შეფასება, ხელმძღვანელობის მიერ მშენებლობის დაწყებისთვის მიღწეული პროგრესის შეფასება, პროექტის მონაცემები წლიური გენერირების დონეების, საშუალო მოსალოდნელი ფასების, საოპერაციო ხარჯების და მოსალოდნელი კაპიტალური დანახარჯების გათვალისწინებით. ხარისხობრივ ანალიზს დაემატა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით შიდა მმართველობითი მიზნებისთვის მომზადებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულის სამართლიანი შეფასების შედეგების შედარება ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულის აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, რომელმაც ყველა შემთხვევაში აჩვენა რომ სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება საბალანსო ღირებულებას. ამ შეფასების შედეგად, რაც მოიცავდა მნიშვნელოვან განსჯას, ხელმძღვანელობამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აღმოუჩინა ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურება.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

2023 და 2022 წლებში ძირითად საშუალებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

	მიწა	ინფრასტრუქტურული აქტივები	მიწები და ჭები	ავეჯი და მოწყობილობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი აქტივები	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერი	485	2,787	605	734	187	36,520	41,318
შესყიდვები	–	–	–	16	–	6,998	7,014
გასვლები	–	–	–	(5)	(39)	(236)	(280)
საკუროსო სხვაობა	(62)	(356)	(77)	(94)	(19)	(4,910)	(5,518)
2022 წლის 31 დეკემბერი	423	2,431	528	651	129	38,372	42,534
შესყიდვები	–	–	–	13	21	7,163	7,197
საკუროსო სხვაობა	(2)	(11)	(2)	(3)	(1)	(189)	(208)
2023 წლის 31 დეკემბერი	421	2,420	526	661	149	45,346	49,523
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2021 წლის 31 დეკემბერი	–	(1,023)	(227)	(145)	(68)	–	(1,463)
ცვეთის დარიცხვა	–	(311)	(68)	(82)	(21)	–	(482)
გასვლები	–	–	–	–	8	–	8
საკუროსო სხვაობა	–	135	34	25	10	–	204
2022 წლის 31 დეკემბერი	–	(1,199)	(261)	(202)	(71)	–	(1,733)
ცვეთის დარიცხვა	–	(312)	(68)	(82)	(21)	–	(483)
საკუროსო სხვაობა	–	6	1	1	–	–	8
2023 წლის 31 დეკემბერი	–	(1,505)	(328)	(283)	(92)	–	(2,208)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	423	1,232	267	449	58	38,372	40,801
2023 წლის 31 დეკემბერი	421	915	198	378	57	45,346	47,315

2023 და 2022 წლების განმავლობაში, ინფრასტრუქტურული აქტივები მეტწილად მოიცავდა ქარის პროექტებისა და წყლის ნაკადის შეფასების სადგურებისთვის საჭირო ანძების შეფასებას.

დაუმთავრებელი აქტივები მეტწილად უკავშირდება 2023 და 2022 წლებში „ზოტი ჰიდროში“ და „კაკასიის ქარის კომპანიაში“ განხორციელებულ სამოქალაქო სამუშაოებს.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს სესხის აღების უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	1,014	2,767
არამატერიალური აქტივები დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით	51	60
წინასწარ გაწეული საოპერაციო დანახარჯები	–	888
სხვა გრძელვადიანი აქტივები	–	636
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,065	4,351

არამატერიალური აქტივების მთლიანმა საბალანსო ღირებულებამ და დაგროვილმა ამორტიზაციამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 150 ლარი და 99 ლარი შეადგინა, შესაბამისად (2022 წ.: 167 ლარი და 107 ლარი). 2023 წელს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დანარიცხმა 27 ლარი შეადგინა (2022 წ.: 27 ლარი).

ჯგუფმა საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივებიდან მიღებულ ნასესხებ სახსრებზე მოლაპარაკებებთან დაკავშირებული კონკრეტული ავანსად გადახდილი საკონსულტაციო საზღაური აქტივებად აღიარა. ხელმძღვანელობის მოლოდინების ცვლილების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნავარაუდევო აღარ იყო დაკავშირებული ნასესხები სახსრების და სხვა გრძელვადიანი აქტივების მიღება, ჯგუფმა 1,678 ლარის ოდენობით წინასწარ გაწეული ხარჯები და სხვა დაკავშირებული აქტივები 2023 წლის მოგება-ზარალში ჩამოწერა (2022 წ.: ნული).

8. გაცემული სესხები

2021 წლის 17 მარტს ჯგუფმა დაამტკიცა საკრედიტო ლიმიტი დაკავშირებულ მხარესთან – საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან, რომელიც შეიცვალა 2023 წლის 10 აგვისტოს და ძირითადი თანხის ლიმიტი გაიზარდა 5,379 ლარამდე (2,000 აშშ დოლარი), ხოლო დაფარვის ვადა 2025 წლის 17 მარტამდე გახანგრძლივდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულმა საწარმომ გამოიყენა 6,188 ლარი (2,301 აშშ დოლარი) დარიცხული პროცენტის ჩათვლით (2022 წ.: 3,533 ლარი (1,308 აშშ დოლარი)) და აღარ დარჩა გამოუყენებელი სასესხო ვალდებულება (2022 წ.: 966 ლარი (331 აშშ დოლარი)). სესხს ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 10%-ის ოდენობით.

ჯგუფმა განსაზღვრა, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული სესხების ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან გაყიდვის მიზნით და შესაბამისად ისინი აღრიცხა სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. მთლიანმა არარეალიზებულმა შემოსულობამ გაცემულ სესხებზე, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით 2023 წელს 400 ლარი შეადგინა (2022 წ.: 286 ლარი). ეს თანხა ასახულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსური შემოსავლის მუხლში. გაცემული სესხები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, ხოლო მათი დისკონტირების განაკვეთი მნიშვნელოვან არაემპირიულ შეფასების ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს.

9. საკუთარი კაპიტალი**სააქციო კაპიტალი**

კომპანიის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 200,000,000 (2022 წ.: 200,000,000) ჩვეულებრივი აქციისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. 47,816,546 აქცია გამოშვებული და სრულად დაფარულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბრის: გამოშვებული და სრულად დაფარული 45,195,446 აქცია).

2022 წლის 12 იანვარს „GCAP“-მა გადაწყვიტა ჯგუფის საკუთარი კაპიტალის 398 ლარით (128 აშშ დოლარი) გაზრდა 127,500 აქციის გამოშვების გზით, რომელთა ნომინალური ღირებულება იყო 1 (ერთი) აშშ დოლარი, 398 ლარის (128 აშშ დოლარი) ოდენობით ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

9. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

2022 წლის 6 ოქტომბერს „GCAP“-მა გადაწყვიტა ჯგუფის საკუთარი კაპიტალი 11,692 ლარით (4,169 აშშ დოლარი) გაზრდა არაფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც მოიცავდა ა) ჯგუფის მიერ დაკავშირებული მხარეების (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) მიმართ დაუფარავი ნასესხები სახსრების (საბალანსო ღირებულებით 9,903 ლარი) კონვერტაციას ჯგუფის საკუთარ კაპიტალად სესხების კაპიტალში გარდაქმნის ოპერაციის ფარგლებში და ბ) ჯგუფში „მესტიაჭალა 1“-ის (ჰიდროელექტრო სადგური, რომელიც თავდაპირველად ჯგუფს ეკუთვნოდა და მოგვიანებით გადაეცა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს წინა პერიოდებში) აქტივების გაყიდვიდან მიღებული დაუფარავი მოთხოვნის შეტანას საბალანსო ღირებულებით 0,6 მილიონი აშშ დოლარი (1,789 ლარი) (მე-14 შენიშვნა).

2022 წელს მშობელმა საწარმომ რამდენჯერმე შეამცირა კომპანიის სააქციო კაპიტალი მთლიანობაში 6,233 ლარის ოდენობით 700,000 აქციის გაუქმებით ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) აშშ დოლარი და 4,037,320 აქციის გაუქმებით ნომინალური ღირებულებით 1 (ერთი) ლარი მთლიანი ფულადი ანაზღაურებით 6,233 ლარი, რომელიც ჯგუფმა გადაიხადა.

2023 წლის 14 აგვისტოს მშობელმა საწარმომ გადაწყვიტა კომპანიის სააქციო კაპიტალის 2,621 ლარით (1,000 აშშ დოლარი) გაზრდა 2,621,100 აქციის გამოშვებით ნომინალური ღირებულებით 1 ლარი, 2,621 ლარის (1,000 აშშ დოლარი) ოდენობით ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

კაპიტალის მართვა

თავისი კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან უზრუნველყოს მფლობელებისთვის უკუგების მოტანა, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ჯგუფს არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნები. ჯგუფი კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, იგივე ფორმით, როგორც ის წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა და პროცესებში ცვლილებები არ შესულა 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში.

სხვა რეზერვები მოიცავს არარეალიზებულ შემოსულობას/(ზარალს) არსებულ შვილობილ საწარმოებში აქციების გაზავებიდან ან გაყიდვიდან/შესყიდვიდან, დამატებით შეტანილ კაპიტალს, რომელიც უკავშირდება აქციებზე დაფუძნებული გადახდების პროგრამას და საკურსო სხვაობის რეზერვს და რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების სამუშაოდან წარსადგენ ვალუტაში გარდაქმნიდან.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

10. ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 მარტს ჯგუფმა მიიღო 717 ლარის (210 აშშ დოლარის) ოდენობით სესხი ქართული საფინანსო დაწესებულებისგან, რომლის დაფარვის ვადაა 2025 წლის 30 ივლისი. საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია პირველი 24 თვის განმავლობაში, ამ პერიოდს შემდეგ კი – მცოცავი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრების გრძელვადიანი წილის დაუფარავი თანხა 517 ლარს (2022 წ.: 486) შეადგენდა, ხოლო მისი მიმდინარე წილი 15 ლარი (2022 წ.: 68) იყო.

2022 წელს ჯგუფმა სესხები მიიღო დაკავშირებული მხარეების – საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან 10,514 ლარის (3,400 აშშ დოლარი) ოდენობით. ეს სესხები კომპანიის საკუთარ კაპიტალად დაკონვერტირდა სესხების კაპიტალში გარდაქმნის ოპერაციის ფარგლებში, კონვერტაციის თარიღში საბალანსო ღირებულებით 9,903 ლარის ოდენობით (მე-9 შენიშვნა).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	649
ფულადი სახსრების შემოსვლა	10,514
ფულადი სახსრების დაფარვა	(13)
დარიცხული პროცენტი	418
გადახდილი პროცენტი	(40)
სესხების კაპიტალში გარდაქმნა (მე-9 შენიშვნა)	(9,903)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	(1,071)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	554
ფულადი სახსრების დაფარვა	(33)
დარიცხული პროცენტი	57
გადახდილი პროცენტი	(40)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	(6)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	532

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ	3,301	5,454
გრძელვადიანი აქტივების ვალდებულებები	192	42
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,493	5,496

12. ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	2023	2022
ხელფასები	227	165
ბონუსები	190	259
სულ ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	417	424

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

13. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
საკომუნიკაციო ხარჯები	82	42
პროფესიული გასამრჯელო	56	60
სადაზღვევო ხარჯი	–	4
სხვა	15	103
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	153	209

14. არარეგულარული მუხლები, წმინდა

	2023	2022
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (მე–15 შენიშვნა)	(160)	–
წმინდა შემოსავალი შვილობილი საწარმოების გაყიდვიდან (ა)	–	1,487
„მესტიაჭალა 1“ ჰიდროელექტროსადგურის გაყიდვიდან მიღებული მოთხოვნის შესყიდვასთან დაკავშირებული არარეგულარული შემოსულობა (ბ)	–	5,566
შრომითი საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული თანამშრომელთა ფულადი ანაზღაურება (გ)	–	(4,338)
სხვა	–	(245)
სულ არარეგულარული მუხლები, წმინდა	(160)	2,470

- (ა) 2022 წელს ჯგუფმა აღიარა 1,487 ლარის ოდენობით შემოსულობის მეორე ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია „ბახვი 2“-ის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, მიღებულია ფულადი სახით, კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, რომლებიც განსაზღვრულია ჯგუფისთვის ამგვარი დამატებითი ანაზღაურების უფლების მიმნიჭებელი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობებში.
- (ბ) 2022 წლის ოქტომბერში, ჯგუფმა შეიძინა მოთხოვნა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ, 1,789 ლარის ოდენობით (მე–9 შენიშვნა) და მისი კლასიფიკაცია მოახდინა ფინანსური აქტივის სახით სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოთხოვნა უკავშირდებოდა „მესტიაჭალა 1“-ის ჰიდროელექტრო სადგურის აქტივების გაყიდვას, რომელიც თავდაპირველად ჯგუფს ეკუთვნოდა და წინა პერიოდში გადაეცა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს. მოთხოვნის პირობები გადაცემის თარიღისთვის ითვალისწინებდა 2,7 მილიონი აშშ დოლარის ანგარიშსწორებას, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების გათვალისწინებით, რომლებიც ჯგუფის კონტროლს მიღმა იყო. 2022 წლის დეკემბერში პირობითი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ მსესხებელმა დაფარა დაუფარავი სახელშეკრულებო თანხა 2,7 მილიონი აშშ დოლარის (7,355 ლარი) ოდენობით, რაც აისახა ჯგუფის მიერ აღიარებულ 5,566 ლარის არარეგულარულ შემოსულობაში.
- (გ) ჯგუფმა იკისრა ვალდებულება დაეფარა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შრომითი საქმიანობის შეწყვეტის კონკრეტული ანაზღაურება, რომელიც წარმოიშობა გარკვეული რეორგანიზაციიდან და კონტროლის ოპერაციების ცვლილებიდან „საქართველოს კაპიტალის“ ჯგუფში. შესაბამისი ხარჯები აღიარდა არარეგულარული ხარჯების სახით 2022 წლის მოგება-ზარალში. 2023 წელს ჯგუფმა გადაიხდა 1,735 ლარი შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გადასახადის სახით (2022 წ.: 1,735 ლარი).

15. აქციებზე დაფუძნებული გადახდა

მშობელი საწარმოს უფროსმა აღმასრულებელმა პირებმა, რომლებიც ასევე ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები არიან, მიიღეს აქციებზე დაფუძნებული ჯილდოები საჯარო სააქციო საზოგადოება „Georgia Capital“-ის აქციების სახით, რომლებიც ჯგუფის მშობელმა საწარმომ დაფარა და აქციებზე დაფუძნებული ჯილდოები აღიარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფმა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა თავისი მთლიან აქციებზე დაფუძნებული დარიცხვების პროპორციული წილი შესაბამისი თანამშრომლებისთვის. ჯილდოების მოქმედების ვადა მერყეობდა ოთხიდან ხუთ წლამდე. ამასთან მათი ერთადერთი პირობა იყო GCAP-ის ჯგუფში დასაქმების გაგრძელება ამგვარი პერიოდის განმავლობაში. ჯილდოების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების შესაბამის თარიღში, „GCAP“-ის აქციების ხელმისაწვდომი საბაზრო კოტირების გამოყენებით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

15. აქციებზე დაფუძნებული გადახდა (გაგრძელება)

2023 წელს მშობელმა საწარმომ შეცვალა აქციებზე დაფუძნებული ჯილდოების პირობები ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებზე ადრე გაცემული ჯილდოების მომსახურების პირობის გაუქმების მიზნით. შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა 1,321 ლარის ოდენობით აქციებზე დაფუძნებული დარიცხვა თავის 2023 წლის კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარა, როგორც აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების აჩქარება მომავალ პერიოდებში მოსალოდნელი მომსახურებებისთვის, რომლებიც აღარ წარმოადგენს მომსახურების პირობის საგანს.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ნაჩვენებია ცხრილში ქვემოთ:

	2023	2022
წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციიდან წარმოშობილი საკუთარი კაპიტალის ზრდა	1,925	999
ხელფასებსა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებში აღრიცხული აქციებზე დაფუძნებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი ხარჯი	33	100
არარეგულარულ მუხლებში აღრიცხულ აქციებზე დაფუძნებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი ხარჯი	160	–

16. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის საკუთრებაში არსებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულებით ფასდება შეფასების მეთოდის გამოყენებით ბაზრის ემპირიული და არაემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით შეფასდა. არაკოტირებული ფიქსირებულ-პროცენტიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არის შემდეგი:

	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
		ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები (მე–8 შენიშვნა)	მე–3 დონე	6,188	6,188	3,533	3,533
ფინანსური აქტივები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	მე–2 დონე	1,881	1,881	8,802	8,802
სხვა მოთხოვნები	მე–2 დონე	8	8	107	107
ფინანსური ვალდებულებები, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება განსაზღვრული არ არის					
ნასესხები სახსრები (მე–10 შენიშვნა)	მე–2 დონე	532	527	554	549
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მე–2 დონე	3,493	3,493	5,496	5,496
საიჯარო ვალდებულება	მე–2 დონე	335	335	271	271

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების, ანაზღაურების აქტივის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, გაცემული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებულგანაკვეთიანი ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მათი საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით, რადგან ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთს არის მიახლოებული.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფი გასწევს სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო რისკი წარმოიშობა ლარში გამოხატული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან, სავაჭრო და დასაქმებულ პირთა მიმართ ვალდებულებებიდან. გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტი მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ვალუტა	ზრდა/ შემცირება % 2023	ეფექტი მოგებაზე 2023
ლარი	18.84%	(622)
ლარი	-18.84%	622

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)**

ვალუტა	ზრდა/ შემცირება % 2022	ეფექტი მოგებაზე 2022
ლარი	18.92%	(998)
ლარი	-18.92%	998

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ნასესხები სახსრები ატარებდა ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად მასზე არ ვრცელდება საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ კონტრაქტებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1,881 ლარის ოდენობით (2022 წ.: 8,802 ლარი) განთავსებული იყო ქართულ ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს „BB/bb-“ შეფასებები.
- ▶ გაცემული სესხები: ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემა გაცემული სესხებისთვის და ის კრედიტის ხარისხს აფასებს ამგვარ ინსტრუმენტებზე ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხი არ იყო ვადაგადაცილებული.

ყველა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები კლასიფიცირებულია მოკლევადიანად და ისინი გაუფასურებული არ არის. ამ ფინანსური აქტივების მოკლევადიანობის და ძალიან ლიკვიდური ხასიათის გამო, ჯგუფმა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეაფასა, როგორც არაარსებითი. შესაბამისად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში გაუფასურება არ აღიარდება.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების და გამოუხმობი სასესხო ვალდებულებების პირობითი თანხების საბალანსო ღირებულება საუკეთესოდ უჩვენებს მათი დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზომას.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვის აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას. ჯგუფი მოელის, რომ მიიღებს დამატებით საკრედიტო და წილობრივ დაფინანსებას მისი მშობელი საწარმოსთვის მისი საინვესტიციო პროექტების მიმდინარე განვითარების და მიმდინარე საქმიანობის დანახარჯების დაფარვის მიზნით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	1 წელზე ნაკლები	1–3 წელი	3–5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	112	467	–	–	579
საიჯარო ვალდებულებები	53	86	86	1,756	1,981
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,493	–	–	–	3,493
სულ მომავალი გადახდები	3,658	553	86	1,756	6,053
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	66	573	–	–	639
სასესხო ვალდებულებები	966	–	–	–	966
საიჯარო ვალდებულებები	43	86	86	1,799	2,014
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,496	–	–	–	5,496
სულ მომავალი გადახდები	6,571	659	86	1,799	9,115

17. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

2023 და 2022 წლებში ჯგუფმა განახორციელა რამდენიმე შენატანი საკუთარ კაპიტალში და დისტრიბუციის ოპერაციები მის მშობელ საწარმოსთან (მე–9 შენიშვნა). ჯგუფმა ასევე გააფორმა ნასესხები სახსრების და საკრედიტო გარიგებები მშობელ საწარმოსთან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან (მე–8 და მე–10 შენიშვნები).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

17. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**დირექტორების ანაზღაურება**

2023 და 2022 წლებში ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს სამ წევრს და დირექტორთა საბჭოს წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ იღებენ ანაზღაურებას ჯგუფისგან. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (მოიცავს ჯგუფის დირექტორს და დირექტორთა საბჭოს 4 წევრს) ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მართვის პოზიციების მომსახურების ანაზღაურებას, შედგება ხელფასებისგან, შესრულების პრემიებისგან, რომლებიც დამოკიდებულია ჯგუფის სხვა ანაზღაურებად მაჩვენებლებზე, განთავსების, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების ფორმით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის დარიცხულმა მთლიანმა ანაზღაურებამ 2023 წელს 3,669 ლარი შეადგინა (2022 წ.: 7,152 ლარი), შემდეგი სახით:

	2023	2022
ხელფასები	824	705
ბონუსები	920	1,010
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოები (მე-14 შენიშვნა)	–	4,338
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	1,925	1,099
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	3,669	7,152

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის თებერვალში, ჯგუფმა უმცირესი სააქციო წილის მფლობელთან ერთად ახალი საწარმო – შპს „ლუხი ჰიდრო“ დააფუძნა, ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განსახორციელებლად. ჯგუფი ფლობს შპს „ლუხი ჰიდროს“ 85%-ს.

2024 წლის თებერვალში მშობელმა საწარმომ განახორციელა 2,132 ლარის შენატანი ნაღდი ფულით, კომპანიის მიერ გამოშვებული 2,131,840 აქციის გამოშვების გზით.